KA030114524067320

№ 01-3444 **15 / აპრილი / 2020 წ.**

საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსს, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს ბატონ ბექა ჯაყელს

ადმინისტრაციის უფროსს, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელს ქალბატონ თინათინ ხარძიანს

იურიდიული დეპარტამენტის უფროსს, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს ქალბატონ ნათელა ხმალაძეს

მოგესალმებით კოლეგებო,

გაცნობებთ, რომ შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი გეგმავს შრომის ინსპექციის საერთაშორისო ასოციაციაში (IALI) გაწევრიანებას. აღნიშნული წარმოადგენს შრომის ინსპექციის გლობალურ პროფესიულ გაერთიანებას, რომელიც 1972 წელს დაფუძვნდა და 100-ზე მეტ წევრს აერთიანებს, იკრიბება სამ წელიწადში ერთხელ და ატარებს კონგრესისა და გენერალური ანსაბლეის სხდომებს. ვინაიდან ასოციაციის მოქმედების სფეროა შრომის ინსპექტირებასთან, შრომის პირობებთან და შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები, რომლის შესაბამისადაც წევრობის უფლება აქვთ ყველა იმ გაერთიანებას, სამთავრობო/არასამთავრობო დაწესებულებებს, რომლებიც პირდაპირ კავშირში არიან ზემოხსენებულ თემატიკასთან, აღნიშნული პლატფორმა და ის ტექნიკური მხარდაჭერა, რომელსაც IALI წევრებს სთავაზობს, წარმოადგენს ქვეყანათა შორის გამოცდილების გაზიარების საუკეთესო საშუალებას, რომელიც ხელს შეუწყობს საერთაშორისო თანმშრომლობის/ სტრატეგიული პარტნიორობის განვითარებასა და შრომის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებას. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს მიერ 2015 წლიდან მრავალი წარმატებული ნაბიჯი გადაიდგა შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით, ასევე ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების აღსრულებისა და შრომის ინსპექციის ძლიერ, ინსტიტუციურ მექანიზმად გარდაქმნის მიზნით შემუშავებული პოლიტიკის ფონზე ვფიქრობთ, რომ ასოციაციის წევრობით შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი შეძლებს ქვეყნის ღირსეულად წარმოჩენას საერთაშორისო ასპარეზზე.

დამატებით გაცნობებთ, რომ წევრობა თავის მხრივ გულისხმობს წლიური გადასახადის დაფარვას, რომელიც საქართველოს შემთხვევაში დაახლოებით 700-დან 1000-მდე შვეიცარიულ ფრანკს შეადგენს.

შესაბამისად, გთხოვთ, აღნიშნული საკითხი განიხილოთ კომპეტენციის ფარგლებში და შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში გაგვიზიაროთ თქვენი პოზიცია/წინადადებები.

ასოციაციის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მოძიების მიზნით შეგიძლიათ ეწვიოთ ბმულს: www.iali-aiit.org

პატივისცემით

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

შრომის პირობების ინსპექტირების
დეპარტამენტის უფროსი, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

ბექა ფერაძე